აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), ვებგვერდი, 27/03/2020; სარეგისტრაციო კოდი: 010240010.30.060.016060) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

1. კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო;“.

2. კანონის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, ამ კანონის გათვალისწინებით, უზრუნველყოს კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

მუხლი 3

ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის მთავრობის
თავმჯდომარე **რუსლან აბაშიძე**

15 დეკემბერი 2021 წ.

ქ. თბილისი

N21-ს